# PMCG Research ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

## სექტემბერი 2020

- 2020 წლის სექტემბერში საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 94.2%-ით შემცირდა, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მათ შორის, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 93.6%-ით შემცირდა, ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 92.2%-ით. 2020 წლის აპრილის თვის შემდეგ, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ყოველ თვეში, მოგზაურების, ვიზიტორებისა და ტურისტების რაოდენობა 90%-ზე მეტად მცირდებოდა.
- 2020 წლის პირველ სამ კვარტალში, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 499 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 81%-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.
- სასტუმროს ფასების ცვლილებები აჭარაში, გურიასა და სამცხე-ჯავახეთში ტურიზმის შემცირებას ყველაზე კარგად ასახავს. 2020 წლის სექტემბერში სასტუმროების ფასების ინდექსი გურიაში 39,2%-ით, აჭარაში 33,4%-ით და სამცხე-ჯავახეთში 24,3%-ით შემცირდა.
- იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც სწრაფად გახსნეს საზღვრები შეზღუდვების გარეშე, ზოგიერთმა, მაგალითად ალბანეთმა, შეძლო საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის გარკვეული ნაწილის აღდგენა. სხვები, ჩრდილოეთ მაკედონიისა და სერბეთის მსგავსად, არც ისე წარმატებული აღმოჩნდნენ. ამ ორ ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურობის მაჩვენებლები შესადარისია საქართველოს მაჩვენებლებთან, სადაც მოგზაურობის კუთხით შეზღუდვები შენარჩუნებულია.

## ტურიზმისთვის საზღვრების გახსნის საკითხი: საერთაშორისო შედარება

COVID-19 პანდემიამ ტურიზმის ინდუსტრია მთელი მსოფლიოს მასშტაბით დააზარალა. განსაკუთრებული ვარდნა აპრილსა და მაისში დაფიქსირდა, რის შემდეგაც ზოგიერთმა ქვეყანამ საზღვრები სრულად გახსნა, ხოლო სხვა ქვეყნებმა მოგზაურობაზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვები გაახანგრძლივეს. საქართველო ამ უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნება. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებს საქართველოს მშპ-ში მნიშვნელოვანი წილი უკავია (18,4% 2019 წელს), დიდი განსჯის საგანია უნდა შეამსუბუქოს თუ არა საქართველომ შეზღუდვები და, თუ ასეა, რამდენად? ჩვენ შევეცდებით ვიპოვოთ ამ კითხვაზე პასუხი იმ ქვეყნების მაგალითების შესწავლით, რომლებმაც სწრაფად გახსნეს საზღვრები ტურიზმის სექტორის აღსადგენად, მნიშვნელოვანი შეზღუდვებისა და რეგულაციების გარეშე.

კერძოდ, ანალიზისთვის შევარჩიეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სამი ისეთი ქვეყანა, რომელიც გაიხსნა ყოველგვარი ტესტირებისა და საკარანტინო მოთხოვნების გარეშე: ჩრდილოეთ მაკედონია; სერბეთი; და ალბანეთი. აპრილსა და მაისში თითოეულ ქვეყანას ჰქონდა მკაცრი „ლოქდაუნი", რის შედეგადაც ვიზიტორთა რაოდენობა თითქმის განულდა. 2020 წლის ივნისში, სერბეთსა და ალბანეთში ვიზიტორთა რაოდენობის მაჩვენებლებმა გაუმჯობესება დაიწყო, თუმცა სერბეთის მაჩვენებლებმა მომდევნო თვეების განმავლობაში დაახლოებით 90%-ით შემცირება განაგრძო. 2020 წლის აპრილის შემდეგ ყოველ თვეში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიაში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 90%-ზე მეტით შემცირდა.

ალბანეთმა მოახერხა შედარებით შესამჩნევად აღედგინა თავისი მაჩვენებლები: ალბანეთში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 72%-ით შემცირდა 2020 წლის ივნისში (2019 წლის ივნისთან შედარებით), ხოლო ეს მაჩვენებელი ივლისში 67%-ს, აგვისტოში კი 63%-ს გაუტოლდა. ალბანეთის შემთხვევა შეიძლება ჩაითვალოს წარმატების მაგალითად, განსაკუთრებით, იმის ფონზე, რომ ვირუსის გავრცელება ალბანეთში მეტ-ნაკლებად შეესაბამება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. ამასთან, გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი, რამაც ალბანეთს საშუალება მისცა ტურიზმის სექტორი აღედგინა შედარებით უფრო მეტად. ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მის მეზობელ ქვეყნებში არსებული ანალოგიური ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, რაც ამარტივებს ქვეყნებს შორის მიმოსვლას. 2020 წლის აგვისტოში, ალბანეთში ჩასული უცხოელი ვიზიტორების 56% მეზობელი ქვეყნებიდან იყვნენ.

2020 წელს უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდის ტემპი, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით




Sources: GNTA; Statistical Office of the Republic of Serbia; Republic of North Macedonia State Statistical Office; Albanian Institute of Statistics

საქართველოს შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა მისი მეზობელი ქვეყნებისთვის საზღვრების შეუზღუდავი გახსნა ვირუსის უკონტროლო გავრცელების საშიშროების გარეშე, რადგან საქართველოს თითოეულ მეზობელს ვირუსის გავრცელების შედარებით მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა. 2019 წელს, საქართველოში ოთხი მეზობელი ქვეყნიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 71% შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ უსაფრთხო ქვეყნებთან ფრენების განახლება გარკვეულწილად შეამცირებდა ტურიზმის კლებას, თუმცა ის მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა მთლიანი ვიზიტორების რაოდენობასა და მიღებულ შემოსავლებზე.

რომ შევაჯამოთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ფრენების განახლება საქართველოში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს. უფრო მეტიც, თუ ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა გაუარესდება, შიდა ტურიზმიც შესაძლოა დაზარალდეს. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმ ბიზნესებისა და შინამეურნეობების მხარდაჭერა, რომლებიც ტურიზმზე არიან დამოკიდებული, რადგან მათ შეეზღუდათ შემოსავლის ძირითადი წყარო და შესაბამისად, ესაჭიროებათ დახმარება, რათა მოემზადონ პოსტ-პანდემიური აღდგენისთვის.

1 UNWTO - August/September 2020
2 European Center for Disease Prevention and Control; Ourworldindata.org; PMC RC's calculations

## სასტუმროს ფასების ინდექსი

| რეგიონი | სასტუმრო | | 3*, 4*, 5* | | საოჯახო | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2020 სექ/ 2020 აგვ | 2020 სექ/ 2019 სექ | 2020 სექ/ 2020 აგვ | 2020 სექ/ 2019 სექ | 2020 სექ/ 2020 აგვ | 2020 სექ/ 2019 სექ |
| კახეთი | 2.0% | 8.7% | -0.3% | 0.9% | 2.7% | 10.3% |
| იმერეთი | -3.4% | 7.6% | -6.1% | 5.9% | -1.3% | 8.6% |
| გურია | -16.2% | -39.2% | -32.0% | -36.8% | 3.2% | -40.0% |
| შიდა ქართლი | -2.7% | -1.3% | 0.0% | -3.7% | -4.0% | -0.9% |
| აჭარა | -18.4% | -33.4% | -16.6% | -39.9% | -21.1% | -24.1% |
| რაჭა | -6.2% | 0.3% | -49.1% | | 1.2% | 0.3% |
| ქვემო ქართლი | 0.0% | | 0.0% | | 0.0% | |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | -6.1% | -14.5% | -9.3% | -23.0% | -4.6% | -12.4% |
| სამცხე-ჯავახეთი | -3.1% | -24.3% | -2.8% | -27.2% | -3.3% | -21.3% |
| მცხეთა-მთიანეთი | -1.5% | -14.2% | -3.4% | -25.9% | -0.7% | -9.4% |
| თბილისი | 4.3% | 8.3% | 5.2% | 8.3% | -6.0% | 8.8% |
| სულ ფასების % ცვლილება | -2.9% | -5.8% | -2.7% | -8.6% | -8.3% | -3.0% |

**ცხრილი 1**: ფასების % ცვლილება 2020 წლის სექტემბერში, 2020 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით და 2019 წლის სექტემბრის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2020 წლის სექტემბერში, 2020 წლის აგვისტოსთან შედარებით, 2.9%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი შემცირდა 2.7%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები შემცირდა 8.3%-ით.

2020 წლის სექტემბერში, 2019 წლის სექტემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 5.8%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.6%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 3%-ით შემცირდა.

## სასტუმროს საშუალო ფასები

2020 წლის სექტემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] 124 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 221 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა სექტემბერში 70 ლარი შეადგინა.

### 3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2020 სექტემბერი, ლარი)




**გრაფიკი 1:** მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა სექტემბერში 335 ლარი შეადგინა. სამცხე-ჯავახეთში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 440 ლარი შეადგინა, გურიაში - 433 ლარი, თბილისში - 430 ლარი, ხოლო კახეთში 345 ლარი.

### საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

| | III 2018 | IV2018 | 2018 | I 2019 | II 2019 | III 2019 | IV 2019 | 2019 | I 2020 | II 2020 | III 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 534.5 | 468.6 | 1800 | 426* | 498.5* | 605.7* | 541.9* | 2072.1* | 451.9* | 278.4* | - |
| 2 | 3226.4 | 1891.1 | 8679.5 | 1617.5 | 2244.8 | 3375.1 | 2120.4 | 9357.9 | 1333.1 | 114.2 | 150.3 |
| 3 | 1838.3 | 984.7 | 4756.8 | 882.1 | 1245 | 1863.6 | 1089.7 | 5080.5 | 765.3 | 82.3 | 113.6 |
| 4 | 1210.6 | 650.8 | 3222.1 | 578.4 | 877.6 | 1126.8 | 685.8 | 3268.7 | 427.7 | 28.8 | 42.6 |
| 5 | 149.9 | 142.4 | 524.7 | 131.3 | 167.9 | 181.6 | 176.2 | 657.2 | 124.1 | 13.5 | - |
| 6 | 44.9 | 15.7 | 77.8 | 66.2* | 28.8* | 45.7* | 16.4* | 157.5* | 15.8* | 2.4* | - |

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Je-vons-ის ინდექსით.